16/12/2024

MES 6 24 0001613392

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლა:
მანანა ნანდოშვილი-წიქარიშვილი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლა:
მანანა ლაცაბიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლა:
სოფიო ღვინიაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მუჟავას თემის საჯარო სკოლა:
მახო გეთია - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგნის საჯარო სკოლა:
ირმა საფარიძე - სკოლის დირექტორის მოადგილე

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეს საჯარო სკოლა:
დოდო ხახუტაიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს საჯარო სკოლა:
ასლან ბერიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლა:
ნინო აფრასიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მუჟავას თემის საჯარო სკოლა:

ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ წიწიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ლელა კაკაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარინა თავართქილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დავით ხუციშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლელა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგნის საჯარო სკოლა:

ა) ლელა ბუბაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ციცვიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მზევინარი დარბაისელი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო გავაშელი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ელენე გაფრინდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა რუსიეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გოჩა შუბითიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეს საჯარო სკოლა:

ა) თალიკო ჯაყელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თათული მგელაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლიანა ქოქიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მერი ბეჟუაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარინე შანშიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკატერინე ხუცოშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩახვაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეოდორა ლემონჯავა (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს საჯარო სკოლა:

ა) სოფიო დუმბაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამთა კვარაცხელია(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა შალიკიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ინგა ხავთასი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სალომე ასათიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ფერიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლა:

ა) მელანო ზოიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ეკა თაბუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ელენე მიდელაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მეგი ტალახაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანანო შანავა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ინგა ცერცვაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 02 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3. „სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ოქტომბრის N1308265 გადაწყვეტილებისა და N1307186 ოქმის მე-2 ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მუჟავას თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ დოკუმენტაცაზე წვდომას, იმ მომენტისთვის ვერ ახერხებდნენ, რის გამოც, საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, აღნიშნული საკითხები განეხილათ მე-6, მე-7 და მე-8 საკითხებად.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მუჟავას თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8. „სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ოქტომბრის N1308265 გადაწყვეტილებისა და N1307186 ოქმის მე-2 ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა.

1. სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მუჟავას თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მუჟავას თემის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 05 და 06 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. იქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია, სამედიცინო ოთახი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ექსპერტის განმარტებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია არ იყო სრულყოფილად აღჭურვილი საჭირო ინვენტარით. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის შესასვლელში იყო პანდუსი, თუმცა, მეორე სართულზე ასასვლელი კიბე არ იყო ადაპტირებული.

ექსპერტმა, ირინა დვალმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და

ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, ახორციელებდა თუ არა დაწესებულება შემაჯამებელი წერების ანალიზს.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, ნინო ფსუტურის, განმარტებით, მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდნენ შემაჯამებელი წერების ანალიზს, თუმცა აღნიშნული არ იყო ასახული დოკუმენტურად.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ, განხორციელდა თუ არა რაიმე ცვლილება სკოლის ვებ-გვერდზე.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, მახო გეთიას განმარტებით, ვებ-გვერდზე განსათავსებელი ინფორმაცია სკოლას უკვე მზად ჰქონდა და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში სრულად გამართავდნენ ვებ-გვერდს.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს სამედიცინო ოთახთან, პანდუსის მოწყობასთან და წიგნების საბიბლიოთეკო წესით დამუშავებასთან დაკავშირებით გაცემული ჰქონდა გარკვეული რეკომენდაციები. მან მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რა ვითარება იყო ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამედიცინო ოთახის სრულად აღჭურვისთვის დაწყებული ჰქონდათ შესყიდვის პროცედურები, ხოლო სამედიცინო კაბინეტში გასასინჯი სივრცის მოწყობის მიზნით, მიმართავდნენ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს. რაც შეეხებოდა ბიბლიოთეკას, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, დაწესებულებას არ ჰქონდა ბიბლიოთეკარის შტატი, ხოლო პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით, მიმართული ჰქონდათ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.
სკოლის ისტორიის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ წიგნების საბიბლიოთეკო წესით დამუშავება დაწყებული ჰქონდა სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მოვალეობა დაკისრებული ჰქონდა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს. მისი თქმით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ანგარიშვალდებულია ორგანიზაციაში უმაღლეს სტრუქტურულ ერთეულთან და შესაბამისად, სკოლის დირექტორს განუმარტა, რომ მისი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად დანიშვნა დაუშვებელი იყო. სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნულ რჩევას აუცილებლად გაითვალისწინებდა.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, თუ რამდენი მოსწავლე სწავლობდა დაწესებულებაში.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, მახო გეთიას, განმარტებით, დაწესებულებაში სწავლობდა 71 მოსწავლე.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, დაასაქმა თუ არა სკოლამ ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მასწავლებელი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა განმარტა, რომ მასწავლებლის აყვანასთან დაკავშირებით პერიოდულად აცხადებდნენ ვაკანსიას, თუმცა, რაიონში სერტიფიცირებული მასწავლებლის სიმწირე იყო. მისი თქმით, სკოლაში დასაქმებული პირები მუდმივად გადიოდნენ სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო კურსს. ის პირი, რომელიც ასწავლიდა მუსიკასა და სახვით და გამოყენებით

ხელოვნებას, სამომავლოდ სერტიფიცირების მიზნით, აპირებდა მასწავლებლის გამოცდაზე გასვლას.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, დაწესებულებას საშტატო განრიგი (ბიბლიოთეკარისთვის) შესათანხმებლად გადაგზავნილი ჰქონდა თუ არა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოში. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ საშტატო განრიგი შესათანხმებლად გააგზავნეს 1 წლის წინ და მიიღეს უარყოფითი პასუხი. საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, საშტატო განრიგი პასუხისმგებელ ორგანოსთან შესათანხმებლად გაეგზავნათ მიმდინარე პერიოდშიც, ვინაიდან 41 მოსწავლეზე მეტი რაოდენობის შემთხვევაში, სკოლას ეკუთვნოდა ბიბლიოთეკარის შტატი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მუჟავას თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:23
დასრულების დრო - 16:28

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მუჟავას თემის საჯარო სკოლას (ს/კ: 242735830) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, მუჟავას თემი

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, მუჟავას თემი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, მუჟავას თემი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის დეკემბერში 1.2, 3.1, 3.4, 3.5, 3.6, და 3.7 კომპონენტებთან მიმართებით, 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის, მასში შესრულების გაზომვადი ინდიკატორებისა და რესურსების, „უფლების ჩამორთმევისა“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“ ცნობების, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობის შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, სამედიცინო კაბინეტში დასკვნაში ასახული გარემოებების მოწყობის, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო პრინციპით დამუშავების, მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის დამონტაჟების, skolebi.emis.ge-ზე ვებ-გვერდის გააქტიურების და მასში დასკვნაში ასახული ინფორმაციების განთავსების, ბიუჯეტის დამტკიცებისდამადასუტრებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს,

დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგნის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 09 და 10 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 170. იქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 170 მოსწავლისთვის.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულება დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა ორ მისამართზე, ქედის რაიონის სოფელ დოლოგანსა და ქედის რაიონის სოფელ ჭინკაძეებში.

ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, განემარტა, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე დაწყებული ჰქონდათ თუ არა მუშაობა. სკოლის დირექტორის მოადგილემ, ირმა საფარიძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა აქტიური მუშაობა, თუმცა, ვინაიდან, დაწესებულება მდებარეობდა მაღალმთიან რეგიონში და ინტერენეტის პრობლემა იყო, გარკვეული ტექნიკური ხარვეზები რჩებოდა აღმოსაფხვრელი.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, შეექმნათ ინდივიდუალური შეფასების რუბრიკები და ინდიკატორები არ გადმოეკოპირებინათ ეროვნული სასწავლო გეგმიდან. აქვე, დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე სწავლობდა სოფელ ჭინკაძეებში მდებარე სკოლაში.

სკოლის დირექტორის მოადგილის განმარტებით, სოფელ ჭინკაძეების სკოლაის შენობაში სწავლობდა ერთი, მეორე კლასის მოსწავლე.

საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, როგორ შეისწავლეს საგნობრივმა ექსპერტებმა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას ჰქონდა ინტერნეტის პრობლემა.

სკოლის წარმომადგენლის, ირმა საფარიძის, განმარტებით, ექსპერტებმა შეისწავლეს საავტორიზაციო განაცხადით წადრგენილი დოკუმენტაცია, ხოლო, შემდგომ, ვიზიტის ფარგლებში, მასწავლებლებისთვის მიცემული რეკომენდაციების შედეგად გამოსწორებული დოკუმენტაციის მიწოდება, ინტერნეტის ხარვეზის გამო, ვერ მოხერხდა ექსპერტთა ჯგუფისთვის. სკოლის წარმომადგენელმა დაამატა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია გაიგზავნა ცენტრში არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, რაც მიღებული და გათვალისწინებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგნის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 170 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:45
დასრულების დრო - 16:51

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგნის საჯარო სკოლას (ს/კ: 246765139) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქედის რაიონი, სოფელი დოლოგანი; ქედის რაიონი სოფელი ჭინკაძეები.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის	საბაზო	ქართული	ქედის რაიონი, სოფელი დოლოგანი.

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქედის რაიონი, სოფელი დოლოგანი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის დეკემბერში 3.1, 3.4, 3.5, 3.6 და 4.1 კომპონენტებთან მიმართებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავების, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის, შიდა პანდუსების დამონტაჟების, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავების, სკოლის ვებ-გვერდზე ყველა სავალდებულო ინფორმაციის განთავსებისა და მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენლებთან ხელშეკრულების გაფორმების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 09 და 10 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 320. იქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 320 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა: „კინო კლუბი“, „ეკო კლუბი“, „წიგნის კლუბი“ და „საინფორმაციო სააგენტო-თოლია“. მისი თქმით, მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ინტელექტუალურ თუ სპორტულ ჩემპიონატში. სკოლას, პროექტ „ჩემს გაკვეთილზე ნარჩენების მართვა-ში“ მიღებული ჰქონდა 1000 ლარიანი ჯილდო.
ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა, წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო. სკოლას ჰქონდა ლიფტი, ყველა საჭირო რესურსით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ექიმის ოთახი, რესურსოთახი, შიდა ორი სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია.
ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
დასკვნის პროექტში ასახული გარემოების საფუძველზე, საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, ვინ ასწავლიდა ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით საგნებს. სკოლის დირექტორის, დოდო ხახუტაიშვილის განმარტებით, მუსიკის სწავლება შეთავსებული ჰქონდა რუსულის მასწავლებელს, რომელსაც ჰქონდა მუსიკალური განათლება. აქვე, მისი თქმით, დაწესებულება აპირებდა ვაკანსიის გამოცხადებას.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, აპირებდა თუ არა რუსულის მასწავლებელი მუსიკის მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლებას (მასწავლებლის გამოცდის ჩაბარებას). ასევე, მან აღნიშნა, რომ სკოლის ხედვა იყო სკოლის მისიის უბრალო შინაარსობრივი გაგრძელება და არ ჰქონდა ხედვის ფორმატი და სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა მეტი ყურადღება დაეთმო აღნიშნულისთვის. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ რუსულის მასწავლებელი აპირებდა კვალიფიკაციის ამაღლებას და მასწავლებლის გამოცდაზე გასვლას.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების ვებ-გვერდზე სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველ ფოტო-მასალაში ჩანდა მოსწავლეების სახეები და დაინტერესდა,

ჰქონდათ თუ არა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მოსწავლეთა ფოტოების გამოქვეყნებისთვის. სკოლის დირექტორის, დოდო ხახუტაიშვილის, განმარტებით, ყველა იმ ბავშვის მშობლისგან, რომელიც იდენტიფიცირებული იყო ფოტო-მასალაში, ჰქონდათ წერილობითი თანხმობა, გარდა ამისა, მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ერთი პუნქტი ეხებოდა მშობელთა თანხმობას, მოსწავლეთათვის ფოტო/ვიდეო გადაღებასა და მათი საჯაროდ გამოქვეყნების თაობაზე. მისი თქმით, ორმა მშობელმა უარი განაცხადა მათი შვილების ფოტოს განთავსებაზე და აღნიშნული მოსწავლეები არ იდენტიფიცირდებოდნენ ფოტოებში.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას ვებ-გვერდზე განთავსებული ჰქონდა ინფორმაცია, რომ პირველ კლასში მოსწავლეთა მისაღებ რაოდენობად განსაზღვრული იყო 29 მოსწავლე, ეროვნული სასწავლო გეგმით კი, კლასში მაქსიმალურ მოსწავლეთა რაოდენობა უნდა ყოფილიყო 25. მან სკოლის წარმომადგენელს განუმარტა, რომ კლასში 25 მოსწავლეზე მეტის ჩარიცხვა უნდა მომხდარიყო განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ნებართვით.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, სამედიცინო კაბინეტში იყო თუ არა შირმა. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ, სკოლის ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა დაწესებულებას საჩუქრად გადასცა შირმა.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ფსიქოლოგი. სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა ფსიქოლოგის შტატი, თუმცა, გამოცხადებულ ვაკანსიაზე არავინ გამოთქვა დასაქმების სურვილი და სამომავლოდ კიდევ აპირებდა ვაკანსიის გამოცხადებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:10
დასრულების დრო - 17:15

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეს საჯარო სკოლას (ს/კ: 246998520) 9

წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა კვირიკე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა კვირიკე
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა კვირიკე

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის დეკემბერში 2.2 კომპონენტებთან (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის აყვანის (მუსიკის მასწავლებლის) დამადასუტრებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, სოფიო დუმბაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 30 სექტემბერსა და 01 ოქტომბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 180. იქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 180 მოსწავლისთვის.

ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა მწვანე სკოლის სტატუსი და ამ მიმართულებით ახორციელებდნენ როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ აქტივობებს. დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პროფესიულ სასწავლებლებთან „ახალი ტალღა“, „ბლექსი“ და ტბელ აბუსერიძის სახელობის ხიჭაურის პროფესიულ სასწავლებელთან. მისი თქმით, სკოლის მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართული სხვადასხვა პროექტში და ესწრებოდნენ სხვადასხვა სასწავლო კურსს.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი, წიგნადი ფონდით გამდიდრებული ბიბლიოთეკა, პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით კი, დაწესებულებაში იყო საკერავი მანქანებიც.

ექსპერტმა, სოფიო დუმბაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტები, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა, შეხვდნენ თუ არა მოსწავლეებს და დაესწრნენ თუ არა სასწავლო პროცესს. ექსპერტის, სოფიო დუმბაძის განმარტებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა საკმაოდ აქტიურად და ჯანსაღ გარემოში, თუმცა ექსპერტები არ დასწრებიან საგაკვეთილო პროცესს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ რადგან საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესი განიხილებოდა პირველად ავტორიზაციად, ექსპერტთა ჯგუფი არ ხვდებოდა მოსწავლეებს.

ექსპერტის, თამთა კვარაცხელიას, განმარტებით, სკოლაში შექმნილი იყო მზრუნველი გარემო, მასწავლებლებს და მოსწავლეებს ჰქონდათ მეგობრული დამოკიდებულება.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დასკვნის პროექტში ასახული გარემოების საფუძველზე, დაინტერესდა, რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ, სკოლის შენობიდან საქვაბის გარეთ გატანისთვის. აქვე, სკოლას მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე სწორ ველებში და სრულად განეთავსებინათ სავალდებულო ინფორმაცია.

ექსპერტის, სოფიო დუმბაძის, განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა მიწერილობა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის საქვაბის შენობიდან გატანასთან დაკავშირებით და ელოდებოდნენ პასუხს, რადგან სკოლას საკუთარი ძალებით არ შეეძლო აღნიშნულის განხორციელება.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ანგარიში არ იყო სრულფასოვანი და სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ანგარიშში ასახული ყოფილიყო სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები და ინტერვენციები, რომელსაც მიმართავდნენ პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ შეფასების რუბრიკებსა და კურიკულუმებს ესაჭიროებოდა მეტი მუშაობა, ვინაიდან არ იყო სრულყოფილი.
უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის, სალომე ასათიანის, განმარტებით, კურიკულუმებში ფიქსირდებოდა გარკვეული უზუსტობები და ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა დეტალური რჩევები აღნიშნულის გამოსწორების მიზნით. სკოლის დირექტორის, ასლან ბერიძის, განმარტებით, კურიკულუმები დაამუშავეს ავტორიზებულ სკოლებთან თანამშრომლობით, ხოლო, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე დაწყებული ჰქონდათ აქტიური მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:33
დასრულების დრო - 17:38

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს საჯარო სკოლას (ს/კ: 246760884) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

			პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქედის რაიონი, სოფელი ახო, მეხუთე ქუჩა №4
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქედის რაიონი, სოფელი ახო, მეხუთე ქუჩა №4
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქედის რაიონი, სოფელი ახო, მეხუთე ქუჩა №4

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის დეკემბერში 2.1, 2.2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგასაგანმანათლებლო პროგრამები), 3.2 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, მუსიკისა და ტექნოლოგიების სერტიფიცირებული მასწავლებლის აყვანის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობისა და მეორე სართულზე განთავსებული საერთო მოხმარების სივრცეებთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების დაკავშირებისთვის ლიფტის/კიბეზე პანდუსის დამონტაჟების დამადასუტრებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. **სსიპ - ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მელანო ზოიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ალექსანდრე

ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 12 და 13 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 49. იქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 49 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლაში იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა სააქტო დარბაზი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სარგებლობდა ადგილობრივი თვითმმართველობის მფლობელობაში არსებული შიდა სპორტული დარბაზითა და გარე სპორტული მოედანით.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ მოსწავლეები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსსა თუ ოლიმპიადაში. ბოლო 4 წლის განმავლობაში სკოლას ჰყავდა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეები.

ექსპერტმა, მელანო ზოიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტები - „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, დასკვნის პროექტში ასახული გარემოების საფუძველზე, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ დაწესებულებას არ ჰყავდა ყველა საგნის მასწავლებელი. ასევე, დაინტერესდა, რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ ინკლუზიური გარემოს შექმნისთვის. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო აფრასიძის, განმარტებით, მასწავლებლების დასაქმების მიზნით, დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსიები, თუმცა ვინაიდან, რაიონში სერტიფიცირებული მასწავლებლების სიმწირე იყო, ვერ შეირჩა შესაბამისი კადრი. მისი თქმით, დაწესებულება ელოდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ ექსპერტიზის დასკვნას, ხოლო ადაპტირებული გარემოს შექმნისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის განახლების მიზნით ჰქონდა მიწერილობა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, რამდენად ჰქონდა სკოლის საქმიანობას კავშირი საქართველოს ეროვნულ გმირთან, ალექსანდრე ონიანთან, რომლის სახელიც ჰქონდა მინიჭებული დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, იმართებოდა სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის აღინიშნებოდა ალექსანდრე ონიანის დაბადების დღე, ასევე გარდაცვალების დღე (12 აგვისტო) და თამაშდებოდა მისი სახელობის თასი ფრენბურთში.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, სკოლის საქმიანობას ჰქონოდა მეტი კავშირი ალექსანდრე ონიანის სახელთან. ასევე, განუმარტა, რომ

სკოლის მისიაში აესახათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს არაფორმალურთან ერთად, ფორმალური განათლების მეშვეობითაც უნდა ჩამოუყალიბდეს სამოქალაქო ცნობიერება. აქვე, მისცა რჩევა, სკოლის ვებ-გვერდზე აესახათ სავალდებულო ინფორმაციები.
საბჭოს წევრის თქმით, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ერთიან ფორმატში წლიური სასწავლო და სამოქმედო გეგმები და სკოლის წარმომადგენელს განუმარტა, რომ აღნიშნული იყო ორი სხვადასხვა დოკუმენტი და ყურადღება მიექციათ ამ საკითხისთვის.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, მეგი ტალახაძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული გარკვეული რჩევა და რეკომენდაცია სკოლამ გაითვალისწინა და მისი თქმით, ჰქონდა შთაბეჭდილება, რომ დაწესებულება აქტიურად იმუშავებდა სხვა ხარვეზების აღმოფხვრისთვისაც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 49 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:55
დასრულების დრო - 18:03

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლას (ს/კ: 234069129) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 49 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჟახუნდერი

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჟახუნდერი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჟახუნდერი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის დეკემბერში 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, კომპიუტერული ტექნოლოგიების, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კვალიფიციური მასწავლებლის აყვანის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, შესაბამისი რესურსებით აღჭურვილი სამედიცინო პუნქტის მოწყობის, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟებისა და ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6.სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 07 დეკემბრის N1667698 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შენობა - ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. დაწესებულებამ 2024 წლის 12 ნოემბერს (ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრის ინფორმირება მოხდა დაგვიანებით, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ წერილში მითითებული იყო, რომ აღნიშნული გამოიწვია ტექნიკურმა ხარვეზმა) წარმოადგინა დამტკიცებული საგანგებო

სიტუაციების მართვის გეგმა, შესაბამის უწყებასთან შეთანხმების წერილთან ერთად და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო.
აღნიშნული დოკუმენტები შემდგომი განხილვის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში ასახული ინფორმაციის საფუძველზე, სკოლის შენობას რჩებოდა გარკვეული დეფექტები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მიემართა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, სკოლის შენობა იყო ახლადაშენებული და ექსპერტიზის დასკვნაში ასახული ხარვეზები აღმოფხვრილი იყო სხვა მხრივ, ექსპრტიზის დასკვნის შესაბამისად, სკოლას არ აღენიშნებოდა ხარვეზი.
საბჭოს თავმჯდომარემ, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, გაეტარებინა ყველა პრევენციული ღონისძიება, რათა სამომავლოდ ეჭქვეშ არ დამდგარიყო სკოლის შენობის მდგრადობის საკითხი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

7.სსიპ - ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 05 დეკემბრის N1647272 ოქმის პირველი ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, ინკლუზიურ გარემოსთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, ეზოს ლითონის კონსტრუქციისგან გათავისუფლების მტკიცებულება, სკოლის ტერიტორიის შემოსაზღვრის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სივრცის მოწყობისა და ბიბლიოთეკის გამრავალფეროვნების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებამ 2024 წლის 26 ნოემბერს ცენტრში წარმოადგინა შენობების დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების საფუძველზე შედგენილი მიწერილობები, ტექნიკური მდგომარეობის დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ლითონის კონსტრუქციებისგან ეზოს გათავისუფლების, სკოლის შემოღობვის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სივრცის მოწყობისა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით გამდიდრების დამადასურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ინკლუზიურ გარემოსთან დაკავშირებით განმარტა, რომ სკოლას მიმართული ჰქონდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის, ვინაიდან საკუთარი რესურსით ვერ ახერხებდა აღნიშნული პრობლემის მოგვარებას. მისი თქმით, ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ სკოლას აცნობა, რომ სააგენტოს მიერ სამოქმედო

გეგმის ფორმირების პროცესში გათვალისწინებული იქნებოდა სსიპ-ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურული საკითხების განხილვა.
ცენტრის წარმომადგენემა განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტები, შემდგომი განხილვის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რამდენი ერთეულით გაამდიდრა სკოლამ წიგნადი ფონდი.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებამ შეიძინა 70 წიგნი, თუმცა სკოლაში დაიწყო პროექტის „გავამდიდროთ საკუთარი ბიბლიოთეკა“ განხორციელება, რაც მეტად გაამრავალფეროვნებდა ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა სსიპ - ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლის წარმომადგენელს, ინკლუზიური გარემოს მოწყობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების შემდეგ, მტკიცებულებები წარმოედგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში .

8. „სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ოქტომბრის N1308265 გადაწყვეტილებისა და N1307186 ოქმის მე-2 ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ოქტომბრის N1308265 გადაწყვეტილებასა და N1307186 ოქმის მე-2 ნაწილში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, სკოლის სახელწოდებად გადაწყვეტილების პირველ, მეორე და მესამე პუნქტებსა და ოქმის მე-2 ნაწილში მითითებული იყო სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლა, ნაცვლად სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლისა. მან მიმართა საბჭოს წევრებს, განეხილათ 2024 წლის 10 ოქტომბრის N1308265 გადაწყვეტილებასა და N1307186 ოქმის მე-2 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ოქტომბრის N1307186 ოქმის მე-2 ნაწილში და N1308265 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ოქტომბრის N1307186 ოქმის მე-2 ნაწილში და N1308265 გადაწყვეტილებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა:

1. N1308265 გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“;
2. N1308265 გადაწყვეტილების 1-ელი; მე-2 და მე-3 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1) „სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლას (ს/კ: 240413183) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი;
2) სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები;
3) სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით;“

2.2024 წლის 10 ოქტომბრის N1307186 ოქმის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2.სსიპ სოლომონ დოდაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინათინ ალავიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 17 და 18 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა

ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 350. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 350 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, თინათინ ალავიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტის განმარტებით, სკოლაში იყო მოვლილი გარემო, სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა, შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი (აღნიშნული საჭიროებდა რეაბილიტაციას), ასევე კომპიუტერული მეცნიერების ლაბორატორია. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის შენობას ესაჭიროებოდა სრული რეაბილიტაცია. სკოლის შენობის რეაბილიტაცია გათვალიწინებული იყო 2025-2026 წლის რეაბილიტაციის პროექტის გეგმით. ასევე, სკოლას ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსი, რომელიც მასწავლებლებს შეჰქონდათ უშუალოდ კლასებში, ვინაიდან არ იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში იყო სოლომონ დოდაშვილის სახელობის მუზეუმი, ასევე, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კოლეჯ „აისთან“ და ,,სსიპ - კოლეჯ ,გლდანის პროფესიულ მომზადების ცენტრთან“, ასევე, სკოლაში აქტიურად მუშაობდა თვითმმართველობა და ახორციელებდა სხვადასხვა ღონისძიებასა და პროექტს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს, მათემატიკის მიმართულებით, მეტი დეტალი წარმოედგინა საბჭოსთვის.
მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის, ლალი ბერიშვილის, განმარტებით, მწირი იყო შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა, ასევე, დასახვეწი იყო შეფასების რუბრიკები, კერძოდ კი განმავითარებელი შეფასების მიმართულება, ასევე, ვინაიდან სკოლაში არ იყო WI-FI სისტემა, სწავლების პროცესში ვერ იყენებდნენ ელექტრონულ რესურსებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:50
დასრულების დრო: 16:57

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლას (ს/კ: 240413183) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაღარო.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაღარო.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაღარო.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 სტანდარტები.“

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:30 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა